



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დეკიანი

დეკიანი, მაღალმთის მცენარეული დაზგუფება.

ალპ. სარტყელში დ. პირველადია, სუბალპურში კი უმეტესად ტყის მოსპობის შედეგად განვითარებული ქვეტყის ნაშთია (მეორეული დ.), ვრცელი დ-ები უმთავრესად კავკასიონის ქედზე, სუბალპ. მდელოებისა და ტყეების ზოლშია გავრცელებული, ასეთივე დ-ები გვხვდება აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდ. ფერდობებზე, თრიალეთზე და სხვ.;

ფლორისტული შემადგენლობით დ. საერთოდ ღარიბია, 30-40-მდე სახეობით განისაზღვრება, თუმცა მეორეულ დ-ებში სახეობათა რაოდენობა 2-3-ჯერ მეტია. უფრო ხშირია გვიმრიანი, ნაირბალახიანი, მარცვლოვნიანი, მოცვიანი, კენწერიანი და სხვა დ-ები. დ-ების ქვეშ ტორფიანი ნიადაგი ვითარდება. ყინვის, ადამიანისა თუ ცხოველთა ზემოქმედების შედეგად დ. შეიძლება გადაშენდეს და მისი ადგილი დაიკავოს ნაირბალახიანმა მდელომ, ძიგვიანმა, მოცვიანმა, ბრძამიანმა და სხვა ფორმაციებმა.

დ. ძალიან ხშირი დაზგუფებაა და დიდი ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს.

მ. სახოკია
